1877—1895

# ივერია

№ 69

ხუთშაბათი, 30 მარტი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 69

ხუთშაბათი, 30 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 2 აპრილს.**

---

ქართული თეატრი

საქველ-მოქმედო წარმოდგენა, დანიშნული ოთხშაბათს 17 მარტისათვის

გადაიდო

ოთხშაბათისათვის 19 აპრილს.

წარმოდგენილი იქნება

**დანაშაული და სასჯელი**

დრამა 5 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მიერ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, გამოცემული დ. ბაქრაძის რედაქციით გ. ქართველიშვილის მიერ 2 მან., ტფილისს გარეშე დამბარებელმა წიგნის ფასთან უნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც გამოგზავნონ.

(10—6.—5)

## ახალი ამბავი

*** სენატორის ა. ფ. კონის ჩამოსვლას ტფილისში შაბათს მოელიან, მასთან ერთად მოდის პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი იგნატიევი.

*** გაზეთ „ნოვ. ობოზრენ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ამ გაზაფხულზედ ტფილისში ჩამოვა გრაფი ზიჩი, სადაც იგი დაათვალიერებს ძველის ტაძრების ნაშთებს და შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინის გზით ბაქოში წავა და იქიდგან-კი სამარყანდსა და ტაშკენტში გაემგზავრება.

*** პეტერბურგში მიწვეულ საფილოქსერო საბჭოს მეხუთე კრებაზედ გარდაუწყვეტიათ: ოდესის საფილოქსერო კომიტეტს ამ წელს მიეცეს $135^1/_2$ ათასი მანათი, კავკასიისას—$91^1/_2$ ათასი მან. და ყირიმისას 33 ათასი მანათი.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „რუხის ბრძოლა“, ანუ ცხოვრება იმერეთის დიდის მეფის სოლომონ პირველისა, ლექსად თქმული იოანე გეგენჭკორისაგან. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 10 კაპ.

ეს პოემა გეგენჭკორს 1836 წელს დაუწერია. პირველად ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულს ქრისტომატიაში იყო დაბეჭდილი. ზ. ჭიჭინაძეს ეს პოემა 3,400 ცალი დაუბეჭდია. აქედგან გაისყიდება მხოლოდ 400 ცალი. დანარჩენი შეინახება და როცა სხვა წვრილი წიგნებიც დაიბეჭდება, რომელიც უკვე დამზადებულია დასაბეჭდად, მაშინ ყველა ესენი სვანეთში და სამეგრელოში გაიგზავნება დასარიგებლად.

*** ტფილისში კიდევ იმალებიან ისეთი მავნე ექიმები, რომლებიც მდაბიო ხალხს ატყუებენ და ყელს სჭრიან. მაგალითებრ: ტფილისში ბრძანდება ვიღაც ნახჩევნელი მუშა, რომელიც დამტვრეულ და ჯან-გატეხილს ავადმყოფებს სწამლობს, იახოს აკრავს. როგორც სჩანს, ეს ექიმი მუშა იმდენს ვერ არჩენს, რამდენსაც ჰვნებს. აი ამისი მაგალითი: დარიის უბანში მან იახოთი ხელი შეუკრა ერთს პატარა ბიჭს და მერე ისე მაგრა შეუკრა, რომ თითებში სისხლის მოძრაობა გაჩერდა. ბავშმა ღრიალი დაიწყო, რომ შემხსენითო, მაგრამ პატრონებმა არ შეუხსნეს, რადგანაც ექიმს მუშას ეთქვა, რომ სამს დღეს არ შეუხსნათო. ყმაწვილმა ტირილით გააჭირა საქმე, მესამე დღეს შეუხსნეს, მაგრამ ხელი მორჩენის მაგიერ მთლად გაჰფუჭებიყო. პატრონებმა შეჰქმნეს ღრიალი, მაგრამ რაღა დროს, ყმაწვილს ხელი უბრალოდ-ღა ეკიდა მკლავზედ და თან კვდებოდა. მალე ტფილისის საავადმყოფოში წაიყვანეს და საქმე იმითი დაბოლოვდა, რომ საწყალს ბავშვს ხელი მოსჭრეს.

*** ამ დღეებში კიდევ გაიყიდა იარმუკაზედ ერთი ვრცელი ტომი ძველის ქართულის ხელთ-ნაწერისა, რომელშიაც მოქცეული იყო თეიმურაზ პირველის ლექსები, თეიმურაზ მეორის, არჩილ მეფის, ვახტანგ მეფისა და სხვათა ქართველთა ძველთა მელექსეთა ლექსები, რომლებისაც ზოგი იშვიათიც არის ჩვენს მწერლობაში.

ასეთს ბედში იმყოფება ჩვენში ძველის წიგნების საქმე.

*** დ. ბორჯომი: აქ მჟავე წყლის მახლობლად ანგრევდნენ ხის ძველს შენობას. დანგრევის დროს გადმოიქცა კედელი და დაეცა თავზედ მუშა გლეხს სოფ. რუისის მცხოვრებს ღვინიაშვილს და თავი გაუტეხა. უბედური ორის დღის შემდეგ გარდაიცვალა.

*** იქიდგანვე: მჟავე წყალში შეშების დასაჭერად ბურჯი იყო ჩადგმული, მაგრამ სარგებლობის მაგიერ დიდი ზარალი მოუტანა ბორჯომელებს. შეშები ბურჯთან გაიხირა, წყალი შეგუბდა, ნაპირებზედ გადმოხეთქა, დუქნებში და სარდაფებში შევარდა. მოგლიჯა აგრეთვე ქუჩებზედ მდგომი ხეები და გზა წყლის ნაპირას ხომ სულ ჩამოჰქმა და წალეკა. ადიდებულმა წყალმა თითქმის აგარაკებამდისაც მიაღწია. ბოლოს დინამიტი ააფეთქეს წყალში, ბურჯი დაანგრიეს და წყალი თავისს კალაპოტში ჩადგა. ზარალი ორას თუმნამდეა.

## კორესპონდენცია.

**თელავი.** ერთს ჯაფისაგან წელში მოხრილს მუშა კაცს ჰკითხეს: „რა არის ამდენი მუშაობა, როდის და შეისვენებო?“ მუშამ თავი გაიქნია და უპასუხა: „მოვკვდები და საფლავში მოვისვენებო“. მაგრამ თელავში მცხოვრებლებს არ ეტყობათ, რომ თავიანთს მიცვალებულებს საფლავებში მაინც ასვენებდნენ.

თელავში ორი სასაფლაო არის, ქართველებისა და სომხებისა. ხშირად გავდივარ და ვათვალიერებ ამ სასაფლაოებს და რას ვხედავ?.. მუდამ ჟამს, თითქოს ცოცხლები მკვდრებს ჯიბრში უდგანანო, დილიდგან დაწყებული შინდამდის მოერეკებიან საქონელს ამ სასაფლაოებზედ; რა პირუტყვი გნებავთ რომ აქ არ იყოს, ძაღლიდგან დაწყებული ვირამდის... დადიან ეს პირუტყვები და ავსებენ უსუფთაობით სასაფლაოებს, ასე რომ თელავის მიცვალებული არც საფლავშია მისვენებული!

განა სამართალი არ მოითხოვს, იყოს დაცული ეს საიმქვეყნოდ გამზადებულთ სამყოფელი, რომელსაც ველური ხალხიც-კი მუდამ მოკრძალებით და პატივის-ცემით ეპყრობა. ამ შემთხვევაში ყველამ ერთ-ნაირად უნდა იზრუნოს, ადმინისტრაციამაც და სამღვდელოებამაც მით უფრო, რომ ამ უკანასკნელთ უპირველესი მოვალეობაა, მუდამ დარაჯად უდგნენ ყოველს ზნეობისა და რწმენის შემლახველს მოვლენას თავისს სამწყსოში და ზემოდ მოხსენებული მოვლენა ხომ იმას ჰღაღადებს, რომ ხალხს რწმენა მცირე აქვს. ვისურვებთ, რომ მალე მიექცეს ყურადღება, როგორც სამღვდელოებისა ისე ადმინისტრაციის მხრივ, რომლებიც ასეთს შემთხვევაში ხელი-ხელს ჩაბმულნი უნდა ემსახურებოდნენ და უპატრონებდნენ იმათ, ვისაც ნაკლები შეგნება აქვს...

ფოლადი.

—

**კახეთი,** (სოფ. ყვარელი), მარტის 24. ამ მიმდინარე ზამთარს კახეთში და თითქმის ყველგან საქართველოში და მოსამზღვრე ადგილებში ერთგვარი ხასიათი ჰქონდა: ყოველი მხრიდგან მოისმოდა ამინდების სიბრწყინვალე და ქება-დიდება. მართლაც საკვირველი ზამთარი იყო: არსად თოვლი, არსად სიცივე და ყინვა, სულ დამშვიდებული ჰაერი, თბილი და მზიანი დარები. მაგრამ ამისთანა უცოდველად მიმდინარეობა ზამთრისა ხალხის გულს ბევრად არ ახარებდა, იგი ფიქრობდა: ეს თვალთ-მაქცობა კეთილს არას მოასწავებსო—უთოვლობა მინდვრის ჭირნახულს დაგვიზიანებს, რადგან ნიადაგს წყალი დააკლდება, ან ღამის ყინვები დაგვიზრობსო! ღვთის იმედით, ეს მოლოდინი საკეთილოდ დაბოლოვდა: მინდვრის ნათესი სრულიად უვნებლად გადარჩა ზამთარს, მარტმა წვიმიანი დარები დაიჭირა,

---

## ფელეტონი

### პრომეტეოსს.

(ფრუგიდგან)

მწუხარედ ვუსმენ წამებასა
და კვნესას შენთა
კაცთა მცნებისთვის ღმერთთა
ცეცხლის წარმტაცებელო.
მწუხარედ გიმზერ უფსკრულს კიდულს
ნაპრალთა კლდეთა
შეუწყალებლად მიჯაჭვულო
და მიჭედილო.
გულს სისხლით მივსებს შენს ხელფეხზედ
მძიმე ბორკილი
და შენს გმირს გულში სვავის კლანჭი
მაგრად ჩაყრილი.
ო! ზევესი იყო ღმერთი,
ღმერთი მძლეველი,
მის გულს ატკბობდა შენი სისხლი
და სატანჯველი...
მაგრამ შესდეგი ზღვის მსხვერპლო
წუთასა ერთსა,
შესდეგ ერთს წუთას და შეჰხედე
სატანჯველს ჩემსა.
არ წარმიტაცავს სალმრთო ცეცხლი
მე ღმერთისთვისა,
არ წარმიტაცავს: მე ის ღმერთმა
თვით მიწყალობა,
და მიბრძანა, რომ წარმომელო
კაცთა შორისა,
სადაც მკვიდრობენ სიბნელე და
ტანჯვა-მონება.
ბრძანა—მოვფინო ამა ცეცხლით
კაცთა ნათელი,
და ჩამაბარა იგი წმინდა
თვისი კანდელი:
მეღვიებინა ჩაუქრობლად,
მჭეროდა ხელში,
მენათებინა კაცთათვის გზა
უკუნო ბნელში...
არ მომიპარავს ღმერთისათვის
მე ცეცხლი ისი.
მაგრამ შეჰხედე, რა დამიჯდა
შეძენა მისი:
მაში მივეცი ცხარე ცრემლი,
სისხლი მჩქეფარი,
და ხარკად მადევს გეენისა
უშრეტი ალი,
ტანჯვა, წამება, შეუწყვეტლივ
კვნესა-ვალალი.
და შენსავითა განა ერთი
სვავი მსისხარი
მომვლინებია სატანჯველად,
გულის მგლეჯავად?!
განა ერთის მხრით მომსევიან
მგლეჯავ-მქეჯნავად?!
ათასთა სვავთა, ათასობით
ასპიტთა გველთა
ჩემს წამებულს გულს ჩაუყრიათ
ბრჭყალი, კბილები,
სწიწკნიან, ჰგლეჯენ და ჰშხამავენ
იარათ ჩემთა...
ო! პრომეტეოს, შეადარე
შენი წყლულები
ჩემსა წყლულებსა, ჩემს სატანჯველს!..
შენი წამება
ამ სატანჯველთან, ამა ცეცხლთან
დაგავიწყდება.

ა. ფ.

1894 წ.

### უახლოებელესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა.

II*)

წინანდელს ეკონომიურს წერილებში („ივერია“ №№ 33 და 34) ჩვენ განვიხილეთ საქართველოს აწმყოს ეკონომიური მდგომარეობა. აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ დედა-აზრს იმ წერილებისას.

გლეხობის განთავისუფლების შემდეგ ჩვენი ცხოვრება ახალს გზას დაადგა. როგორც რუსეთისათვის, ისე ჩვენის ქვეყნისათვის ეს ახალი ხანა ევროპის გზა-კვალია. ფეოდალურ-პატრიარქალური წეს-წყობილება დაირღვა და მომზადდა ნიადაგი ბურჟუაზულ ხანასათვის. რა-კი ცხოვრება ამ გზას დაადგა, მისი მომავალი მტკიცედ აღნიშნულია—ესე იგი—ის ვერ ასცილდება კაპიტალისტურის ევოლიუციის კანონებს. მაგრამ ის გარემოება, რომ საქართველოს დააგვიანდა ევროპის საერთო გზაზედ გამოსვლა, დიდად აბრკოლებს ახალის ეკონომიურის წეს-წყობილების განვითარებას. მსოფლიო ბაზარი ხელში ჩაუგდიათ ევროპის პირველს სახელმწიფოებს; თვით მძლავრს გერმანიას და არა ნაკლებ მძლავრს რუსეთს უჭირთ საჭირო ადგილი დაიჭირონ თავისს ნაწარმოებისათვის და მით გააძლიერონ წარმოებითი ძალა თავისს ერისა. საქართველო თავისის ძალით გარეშე ბაზარს ვერ მოიპოვებს, ხოლო შინაური მისი ბაზარი ფრიად სუსტი და განუვითარებელია. გლეხკაცობის და წვრილ აზნაურობის მოთხოვნილება დღესაც სუსტია, დაქვეითებული ეკონომიური მდგომარეობა-კი შეუძლებლად ჰყოფს, მათ—სავსებით დააკმაყოფილონ თავისი დღევანდელი მოთხოვნილებანი, რომ ამით ხელი შეეწყოს მოთხოვნილებათა ზრდას და შინაურ ბაზრის განვითარებას.

თუ რუსეთში, სადაც მთავრობამ აუარებელი ფული დახარჯა და ბევრი ეცადა „კაპიტალიზმის გადმონერგვისათვის“, დღესაც საკამათოა ახალის ეკონომიურის ფორმის ზრდა-განვითარება ჩვენში, მით უმეტეს არ შეიძლება ითქვას ისე გადაჭრილად, როგორც ბ-ნი ნ. ჟორდანია ამბობს: ...„საშინელის სისწრაფით წინ მიექანებაო“. მართალია, ბ-ნი ჟორდანია, როდესაც ამტკიცებს, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გაევროპიელების გზას დაადგა, მართალია, იმიტომ რომ აქ ის მხოლოდ აღნიშნავს ფაქტს, რომელიც ცხოვრების სინამდვილეზეა დამყარებული, მაგრამ სცდება, როდე-

*) იხ. „ივერია“ № 65.

მიწა ნამ ? გაძლო და ზამთრის უთოვლობა ამით შეავსო და, ასე გასინჯეთ, თოვლი და სეტყვაც-კი დაგვაძლევინა, მაგრამ ვაი, ამ დაძლევას!.. „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“, სწორედ მარტზეა ნათქვამი; მარტი თავის ხასიათს არ ისწორებს, არა და არა!.. ადვილი წარმოსადგენია, რომ თბილი ამინდებისაგან ბუნება მომზადებული იყო საგაზაფხულოდ. თებერვლის მიწურულებმა და მარტის დამდეგებმა ადრეული ხილი: ნუში, ჭერამი და სხვა გამოიტყუეს, ააყვავეს. მაგრამ მთვარის რევის დროს მარტმა თოვლი დაადო მთა-ბარს და ეს ადრეული ყვავილი მთლად გაანადგურა. შემდეგ ამისა მთვარემაც გამოიახლა, ამინდებმაც ისევ კარგი პირი იჩინეს და კვლავ გააცოცხლეს ბუნება: აყვავდა ატამი, მსხალი და მრავალი სხვა ხილი, მაგრამ ვაიც ამ აყვავებას ყვარლისა და ახლო-მახლო ადგილებისათვის! 22 ამ თვისას, სამი საათის ნახევარი იყო ღამისა, საშინელმა ქარიშხალმა და სეტყვამ მთელი ხალხი დააფეთიანა და, ღრმა ძილიდამ გამორკვეული, ფეხზედ დააყენა. სეტყვა პირველად კაკლის სისხო ჩამოდიოდა, მერე თან-და-თან დაწვრილდა, ზედაც წვიმა მოჰყვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დილით ათ საათამდე ისევ დაუდნობელი იდო სეტყვა. მკითხველი თვითონ მიჰხვდება, რა კეთილსაც დააყრიდა ყველა აყვავებულ ხეხილს. ყვავილს ვინ სჩივის, ტოტები მთლად ჩაუჟეჟა და დაამტვრია. კიდევ კარგი, რომ ყვარლის ბოლოზედ, სადაც ვენახები და ყანებია, სეტყვა თხლათა ყოფილა, თორემ თქვენი მტერი, ვაზს, თუმცა კვირტი არა აქვს გამოტანილი ჯერ, მაინც დააზარალებდა და ნათესებს, რომელიც ნახევარ არშინზეა შემაღლებული და სასიამოვნოდ ბიბინებს, მთლად გაატიალებდა და მიწასთან გაასწორებდა. სეტყვის სიძლიერე იქიდგან წარმოიდგინეთ, რომ ფანჯრების შუშები, სადაც მოხვდა, მთლად დალეწა, ტყე-მინდორში ჩხართვი, შაშვი და ამაზედ მომცრო ფრინველი ძალიან ბლომად დახოცა.. სეტყვა დასავლეთის მხრივ წამოვიდა და ახალ-სოფლისაკენ გადიარა. ამბობენ, სოფელი შილდაც ძალიან დასეტყვაო. როგორც ხედავთ, მდგომარე მარტის დრო-ჟამმა საგრძნობელი ზარალი მოუტანა კახელებს და კერძოდ იმ სოფლებს, რომლებსაც სეტყვა მოჰხვდა. შემდეგ ში რა იქნება, ამას ისევ დრო-ჟამი დაგვანახვებს. ნათქვამია: ნუ დაიკვეხებ, მამულო, ყანა ამინდის შვილიაო!

ფშაველიშვილი.

—

**ქუთაისი.** სახელი ჩვენიო და სახრავი თქვენიო, სწორედ სალორიას შესახებ ითქმის, რომლის ტყის-მცველები ისე რიგად შეეჩვივნენ ამ ტყეს, რომ თითქმის მისნი მესაკუთრენი შეიქმნენ. ნამეტნავად თავ-კაცობს ი—კა ჯ—ძე, რომელიც ძლიერ პატრონობას უწევს ამ აგარაკს და ამასთან, რასაკვირველია, თავისს ჯიბესაც. თუ იმასთან ვინმემ დაიჭირა ნაცნობობა და მეგობრობა, ბედი გაუღიმებს. მაგალითებრ, წარსულს წლებში ბევრმა აიღო იჯარით თითო, ორ-ოლი, სამ-სამი და მეტიც ქცევა ამ აგარაკში, მაგრამ გამგეობამ სახლების ჩადგმის ნება არ მისცა. მისმა მეურნე-გამგებლებმა-კი თავიანთ თავად შეჰკრიბეს ორ-ორი თუმანი და მისცეს ნება დასახლებისა. ამ ნათქვამის შემოწმება შეუძლიანთ ახლად დასახლებულებს ფარნაოზ კუპრაშვილს, სერაფიონ ტყემალაძეს, ერასტი ტურძელაძეს, ლუკა დოლაბერიძეს, კოსტა რევიშვილს, მაქსიმე ლანჩავას, ვლადიმერ კიკვაძეს, არსენიძეს და სხვათ.

იმედია, ქუთაისის ქალაქის გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ამ საგანს და უწესოებას გამოიკვლევს.

მ.

---

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და იმისი დანიშნულება.

II

სწავლა-განათლების გავრცელებაში საზოგადო და კერძო ქველ-მოქმედებით პირველი ადგილი უჭირავს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულს შტატებსა.

1870 წლამდე სწავლა-განათლების საქმე მთელს ინგლისში შეადგენდა მხოლოდ კერძო საზოგადოებათა და ქველ-მოქმედებათა საქმეს, ასე რომ სახელმწიფო სრულებით არ ერეოდა ამ საქმეში. ამის შემდეგ-კი დაფუძნდა აქ სახელმწიფო სასკოლო უწყება, რომელმაც შემოიღო ვალდებულებითი სწავლა სამრევლოებში, მაგრამ, რიცხვი კერძო საზოგადოებათა და კაცთა სკოლებისა სამჯერ მაინც სჭარბობს სახელმწიფოსას.

პირველ-დაწყებითის სწავლის გავრცელების საზოგადოებანი უთვალავია ინგლისში. ზოგი მათგანის მოქმედება ვრცელდება მთელს ინგლისზედ, ზოგი-კი ჰმოქმედებს ხოლო ადგილობრივ; ზოგს აქვს მიზნად მხოლოდ პირველ-დაწყებითის სკოლების დაფუძნება, ზოგს კიდევ მხოლოდ მოზრდილ მცხოვრებლების განათლება და ანუ ობოლთა და უმწეოთა სწავლება. თუ როგორის თანაგრძნობით ეკიდება ინგლისის საზოგადოება ამგვარის საზოგადოებების მოქმედებას, მოვიყვან მხოლოდ ერთს მაგალითს. ინგლისის დიდის ქალაქების ქუჩები საზოგადოდ სავსეა მოტანტალე ბავშვებითა. აი, ალსაზრდელად ამ მოტანტალე ბავშვებისა არსებობს ინგლისში ეგრედ წოდებული „ქუჩებში მოტანტალე ბავშვების სწავლა-განათლების საზოგადოება“, რომელსაც აქვს 200-ზედ მეტი განყოფილება ინგლისის სხვა-და-სხვა ქალაქებში და 300-ზედ მეტი სასწავლებელი, რომლებშიაც რიცხვი მარტო მასწავლებელთა ოთხ-ათასამდეა.

რაც შეეხება ეგრედ წოდებულს, ტეხნიკურს, სახელოსნო და მოზრდილთათვის სხვა-და-სხვა სასწავლო და განსავითარებელ დაწესებულებებს, რომელთ რიცხვი აგრეთვე უთვალავია,—ყველა ეს სულ კერძო კაცთა და საზოგადოებათა საქმეა. ამ მხრით განსაკუთრებით შესანიშნავია ეგრედ წოდებული ბრიტანიის საზოგადოება, რომლის ხელშიაც იმყოფება თითქმის მთელის ბრიტანიის სახელოსნო სწავლა-განათლების საქმე... გაცილებით უფრო მეტს აკეთებს კერძო ქველ-მოქმედება ამერიკის შეერთებულს შტატებში. მოგეხსენებათ, რომ მთელი ეს რესპუბლიკა სავსეა უმაღლესის სასწავლებლებით (ოთხი ათასზედ მეტია, რომლებშიაც სწავლობს 300,000-ზედ მეტი მოსწავლე) და ყველა ეს შექმნილია და ინახება სულ კერძო საზოგადოებათა და კაცთა გულ-უხვის შემოწირულებითა. სწორედ ამდენადვე განსაცვიფრებელია ამერიკელების მსხვერპლი და [მოქმე]დება სახალხო განათლებაში. შეერთებულს შტატებში ირიცხება 200 ათასზედ მეტი პირველ-დაწყებითი სკოლა, რომლებშიაც სწავლობს ათი მილიონი მოსწავლე და აქაც უმეტესი ნაწილი სკოლებისა სულ კერძო საზოგადოებათა და კაცთა შრომით და მსხვერპლით ინახება. მთავრობა შეერთებულის შტატებისა სრულებით არ ერევა თავისის ქვეყნის სახალხო სწავლა-განათლებაში. იგი მხოლოდ ჰკრებს სტატისტიკურს ცნობებს და ზოგჯერ გამოაქვეყნებს ხოლმე სწავლების წეს-რიგსა (მეთოდებს). ყოველს შტატში და თითქმის ყველა სოფელში არსებობს თითო ანუ რამდენიმე საზოგადოება, რომლებიც ჰმართავენ სხვა-და-სხვა სასწავლო კურსებსა, სკოლებსა, საბავშვო ბაღებსა, წიგნთ-საცავებსა, სამკითხველოებსა და მისთანებსა. მაგალითისათვის ავიღოთ მხოლოდ ქ. ნიუ-ორკის წიგნთ-საცავების საქმე, რომლებიც შექმნილია მხოლოდ კერძო კაცებისა და საზოგადოებების მეოხებით. ასეთია, მაგალითად, წიგნთ-საცავი ეგრედ წოდებულ წიგნების გამსესხებელ საზოგადოებისა, რომელიც ათი-ათასობით შეიცავს წიგნებს ყველა საგნებიდგან და მეცნიერებიდგან. აგეთივეა ასტორის წიგნთ-საცავი, რომელიც დაწესებულია ქ. ნიუ-ორკის ცნობილის გვარის ასტორის რამდენიმე მილიონის მანეთის შემოწირვით და რომელშიაც მოიპოვება 300,000-ზედ მეტი წიგნი. ასეთივეა წიგნთ-საცავი ისტორიულ საზოგადოებისა, რომელშიაც მოიპოვება 80,000-ზედ მეტი ისტორიული თხზულება.—ლენოქსის წიგნთ-საცავი, რომელიც დაფუძნებულია ქ. ნიუ-ორკის მოქალაქის ლენოქსის შემოწირულები—კომერციული წიგნთ-საცავი, რომელიც ეკუთვნის ნიუ-ორკის ნოქრებს და შეიცავს 200,000-ზედ მეტს წიგნსა. შეგირდთა წიგნთ-საცავი, დაფუძნებული ხელოსნებისა და მეწვრიმალეების მიერ, რომელშიაც მოიპოვება 100,000-ზედ მეტი თხზულება.—საზოგადო წიგნთ-საცავი, რომელიც დაფუძნებულია 1880 წელსა და შესდგება რამდენიმე, ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში მყოფ წიგნთ-საცავისაგან. რომლებიდგან ყოველ წლივ გააქვთ წასაკითხად რამდენიმე მილიონი წიგნი და სხვ.

ი. როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

---

## ახარა *).

—

15, ცხრომრისა. 62 კომლი. გადასახლდა 6 კომლი. ძველად აქ ყოფილა დიდი ეკკლესია, დაუქცევიათ 1830 წლებში. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა, ხოჯას სასწავლებელი აქვს გახსნილი, ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის; აქ თათრული ლაპარაკი არავინ იცის.

16, ახუქეთს. 20 კომლი. ეკკლესიის ადგილი და ქვევრები სჩანს-ღა, ღვინის ქვევრები. ეკკლესიის ადგილის ახლოს ბევრი კაკლის ხეები, აქ ობლად დაშთენილი ვაზის ხეებიც არის. ყურძენი აქ ერთობ ადრე მოდის. აქაურს ყურძენს „ლივანურს“ უწოდებენ. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა და ხოჯა თათრულს ანბანს ავრცელებს ქართველებში, მაგრამ დღესაც აქ არავინ არაფერი იცის თათრულისა.

17, კანტაური. 32 კომლი. ძველად აქ ეკკლესიაც ყოფილა, მაგრამ დღეს აღარ სჩანს, დაუქცევიათ. მარნები და ღვინის ქვევრები მრავალ ალაგას სჩანს. აქ სცხოვრობდნენ ძველად აზნაურათ ყოფილთ გვართა ჩხეიძეები, თათრობაში აღარაფრად ცნობილნი, რადგანაც ესენი დაბეზღებულ იქმნენ, როგორც მომხრენი ქართველთა მამა-პაპის სჯულისა და ორგულნი ოსმალთა და ახალ მიღებულ სჯულისა. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა, ჯამეს გვერდით სასწავლებელი. თათრული არავინ იცის.

18, ტბეთს. 2 კომლი. ეს სოფელი ის არ გეგონოთ, სადაც ძველი

*) იხ. „ივერია“ № 31, 1895 წ.

---

საც გადაჭრით „საშინელს სისწრაფეზედ“ ხელს გვითითებს. ჩვენ გვგონია, ბ-ნი ჟორდანია დაგვეთანხმება, რომ უთუოდ არსებობს რაოდენობითი განსხვავება და არა თვისებითი (качественное) და რომ სხვა-და-სხვა გარემოება ხელს უშლის საქართველოში კაპიტალიზმის „ჩქარს და სწრაფს“ განვითარებას... ეს რაოდენობითი განსხვავება ისე დიდია, რომ ინტელიგენციის მოღვაწეობის მიმართულებაზედაც აქვს გავლენა. ჩვენის ქვეყნის მშრომელი ელემენტი ჯერჯერობით სოფელშია და არა ქალაქში. ამ ელემენტს დიდძალი გასაჭირი თავს ადგია და ამიტომ მას უნდა დახმარება. ეჭვი არ არის, რომ ამ მხრით ინტელიგენცია ვერავითარს სასწაულს ვერ მოახდენს—ესე იგი—ვერ შესძლებს ახალის ეკონომიურის ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ შესძლებს დღიურ ვარამის გაადვილებას და—რაც ყველაზედ უსაჭიროესია—ეკონომიურის თვით ცნობიერების გაწვრთნას.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია რუსულ ეკონომიურ და კერძოდ სოფლის შესახებ ლიტერატურისათვის, მისთვის ცხადია—რამდენი და რა სხვა-და-სხვა გვარი გაჭირვება ახვევია კისერზედ რუსეთის ერის მშრომელს ელემენტს. 1864 წელს რუსეთში შემოღებულ იქმნა ერობა. ამ ადგილობრივ დაწესებულებამ სოფლის ბევრ-გვარ გაჭირვებას ბრძოლა გამოუცხადა და შეძლებისამებრ ემსახურა და ემსახურება გლეხობას. აქ საჭირო არ არის განხილვა იმისი, თუ რა შესძინა სოფელს ერობამ—ეს რუსულს ლიტერატურაში უკვე დაფასებულია და ჩვენს მწერლობასაც ხშირად განუმარტავს ერობის მნიშვნელობა და დაუფასებია მისი ღვაწლი რუსეთში. მიუხედავად ერობის თვალსაჩინო ბრძოლისა, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობაც ყურადღებას არ აკლებდა და ამა თუ იმ პალიატიურს დახმარებას უჩენდა სოფელს, რუსეთის მშრომელს ელემენტს დღესაც ბევრი უბედურება აწევს კისერზედ. თუ ეს რუსეთში არის ასე, მაშ როგორ უნდა იყოს საქმე საქართველოში, სადაც არც ერობა არსებობს, არც სხვა ვინმე ჰზრუნავს თვალ-საჩინოდ სოფლის კეთილ-დღეობისათვის?! ჩვენის ხალხის ჯან-მრთელობის დაცვის საქმე მარჩიელთ ხელშია, ჩვენის მშრომელის ელემენტის სწავლა-განათლების საქმე ადმინისტრაციის ხელშია, ჩვენს სოფელში შემნახველ-გამსესხებელ კასსების დანიშნულებას ჩარჩები ასრულებენ, ყოველ-მხრივი შესწავლა ჩვენის სოფლის მამასახლისებისა და მათის მწერლების ანაბარაზეა მიგდებული, გლეხების იურიდიული უფლების დაცვა „აბლაკატებს“ აულიათ და სხვა მრავალი!.. გავიხსენოთ ყოველი ეს და ვიკითხოთ, ვისი მოვალეობაა დაეხმაროს ქართველის სოფელს ამდენ ვარამთან და გაჭირვებასთან ბრძოლაში?!

სოფლის გაჭირვება ბევრგვარია და ინტელიგენციის მოვალეობაა, რამდენად გარემოება ნებას იძლევა, მას დაეხმაროს. ჩვენ განგებ ვამბობთ, „რამდენად გარემოება ნებას იძლევა“, მისთვის, რომ da ist der Hund begraben.

საქმე იმაშია, რომ სოფელს იმდენი გაჭირვება ადგია, ამ გაჭირვებასთან ბრძოლა ისე ძნელია, რომ თხოულობს ორგანიზაციულსა და სისტემატიურს მოღვაწეობას როგორც ინტელიგენციისას, ისე მთავრობისას. მაგრამ ამგვარს მოღვაწეობას ელობება იგივე „ზედშენობა“, რომელმაც რუსეთის ინტელიგენციის მოძრაობა შეაჩერა. ამ გარემოების მიხედვით ჩნდება მოღვაწეობის ასპარეზი ახალგაზდობის მოწინავე რაზმისათვის. ეს მოღვაწეობა იგივეა, რომელიც ჩვენ საჭიროდ ვსცანით რუსეთის ახალგაზდობისათვის. რასაკვირველია, ამგვარი პროგრამა საყოველთაო ვერ შეიქნება; იმიტომაც ვამბობთ ჩვენ „ახალგაზდობის მოწინავე რაზმისათვის“, ხოლო დანარჩენთა მოვალეობად რჩება შეძლებისამებრ სოფელში მოღვაწეობა და უმთავრესად—თვით-ცნობიერების გაღვიძება...

მესამოცე წლების თაობამ ქართულს მწერლობაში ნაციონალური პრინციპი აღძრა და ამ პრინციპის მიხედვით დაიწყო კიდევაც თავისი პრაქტიკული მოღვაწეობა. რომ ამ თაობამ ბევრი რამ შეჰქმნა, ბევრი შესძინა ჩვენს ცხოვრებას, ამას ამტკიცებს უბრალო შედარება მაშინდელისა და ახლანდელის დროისა. ჩვენ აქ ახლა ვერ შევუდგებით მესამოცე წლების ნამოღვაწევის განხილვას. შემდეგში, როდესაც დრო და შემთხვევა ნებას მოგვცემს, ვეცდებით, შეძლებისა დაგვარად, განვიხილოთ დაწვრილებით მე-სამოცე და მე-სამოცდა-ათე წლების მოღვაწეობის მნიშვნელობა... საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მაშინდელ მოღვაწეების მეოხებით ეროვნულის თვით-ცნობიერების საქმემ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ერის ბევრად თუ ცოტად განვითარებულს ნაწილში, ახლა-კი საჭიროა, რომ ამ იდეებმა უფრო ფართო ნიადაგი მოიპოვონ, გავრცელდნენ და გახდნენ მთელის ერის საკუთრებად; მაგრამ მამულის მოყვარულთ ამგვარს მოღვაწეობას წინ ელობება იგივე „ზედშენობა“... რომ ხალხმა შეიგნოს და შეიყვაროს ეს იდეალი, საჭიროა მას სარჩულად დაედოს არა მარტო პლატონისებური და გვარიანად ბუნდოვანი იდეები, არამედ მტკიცედ განსაზღვრული რეალური ინტერესი. ირლანდიის მოძრაობის მეთაურებმა ეს კარგად შეიგნეს და იმისთვის შეაერთეს ნაციონალური მისწრაფება და თავისს ქვეყნის მშრომელი ელემენტის ინტერესები. მეორეს მხრით, პოლონელთა დამარცხების უმთავრესს მი-

ისტორიული ტბეთის ტაძარი სდგას. ეს სოფელი ახალს დროში გაშენებულა. აქ ძველად მოსახლეთა რიცხვი დიდი ყოფილა. ამათ თავიანთი ეკკლესიაც ჰქონიათ. დღეს აღარაფერი სჩანს. აქედგან დიდძალი ქართველობა გადასახლდა ოსმალეთში და სოფელი მთლად გაოხრდა. ამ სოფელს პაწა ტბეთს უწოდებენ.

19, ნავანები. 25 კომლი. აქ სცხოვრობდა ერთი ფანატიკი ხოჯა, რომლის ქადაგებათა მეოხებით მთელი სოფელი ოსმალეთში გადასახლდა. ნაეკკლესიარი ადგილი და ქვებიც სჩანს. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა, ხოჯა ბავშვებსაც ასწავლის, მაგრამ თათრული არავინ იცის.

20, კვაშტა. 55 კომლი. 10 კომლი გადასახლდა. ძველად აქ ყოფილა ფართო ეკკლესია. ეკკლესია დაუქცევიათ და ქვები აქეთ-იქით წაუღიათ სახლების საკეთებლად. აქ სცხოვრობენ საქართველოს მოღალატის და გამცემის ბექა (1629 წ.) ჯაყელის შთამომავალნი, აწ ბეგებად ხმობილნი, მოძულენი ქართველთა, ქართულის ენის მეტის სხვა არაფრის მცოდნენი და გაუნათლებელნი, ველურად დაშთენილნი. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა და სასწავლებელი. ამათ წინად საშინელი ფანატიკი ხოჯები ჰყოლიათ, მტერნი ქართველთა და ქართული ენისა, მაგრამ თათრული მაინც არ გავრცელებულა აქაც.

21, ვაიო. 50 კომლი. მშვენიერი სოფელია, აჭარაში იშვიათია ასეთი სოფელი. ძველად ამ სოფელს თავისი დიდი ეკკლესია ჰქონდა, მაგრამ ეს ეკკლესია ადრიდგანვე დააქციეს და მის საძირკველზედ ვაიოს ჯამე გააკეთეს. ჯამეს ხის მინარაცა აქვს. ამ სოფელში სცხოვრობდა ქართველ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე ბუჰანა ბაირახტარ შავიშვილი, რომლის ზოგიერთი ლექსები დასწერა პ. უმიკაშვილმა 1879 წ. ზოგი ამისი ლექსები მე დავბეჭდე 1891—1893 წწ. აქაურს ხალხში ამის ლექსებისა ზოგი ზეპირად იციან. უწყიან, რომ ამ სოფელს ძველად სხვა სახელი ჰრქმევია და ,,ვაიო" გათათრების შემდეგ დარქმევიაო, რადგანაც ამ სოფლის წისქვილში ერთ ქართველ-ქრისტიან ქალისთვის მოუსწვრიათ ახალ-გათათრებულს ქართველს ვაჟებს, ეს ქალი მოუტაცნიათ და წაუყვანიათ. ერთს სდომნია მისი შერთვა და გათათრება. ქალს უყვირნია „ვაიო, ვაიო"! და ამიტომ დაერქვა ამ სოფელსაც ვაიო, თორემ ამას სხვა სახელს უწოდებდნენ ძველად, ეს ძველი სახელი არავის ახსოვს; ამბობენ, რომ გამოჩენილი მოჭიდავე სოლოღაც აქაური იყოო. სოლოღა ახალციხის მაზრის ერთს სოფელშია დამარხული და ზედ სამ-არშინიანი ქვა ადევსო. ისიც უწყიან, რომ ძველად აქაურებმა ჩონგურის დაკვრაც იცოდნენ და ამით განთქმულნი იყვნენ აჭარაშიო. დღეს ამ სოფელში რამდენიმე ჩასუქებული ხოჯები სცხოვრობენ. ამ სოფლის მახლობლად ერთი პატარა ეკკლესიაც არის დღევანდლამდე დაშთენილი. ამ რამდენისამე წლის წინად აქ სპილენძის მადანიც გამოჩნდა. მადანი ბერძნებმა შეისყიდეს. ერთი მეჩითის გვერდით ხოჯებს სკოლა აქვთ და 100-მდე ყმაწვილთ არაბულს ანბანს ასწავლიან. აქ ქართული კითხვა გავრცელდა. ბევრმა იცის დღეს წერა-კითხვა, ნამეტურს კითხულობენ ბუჰანა შავიშვილის ლექსებს.

21, აჭუცა. 57 კომლი. ოსმალეთში გადასახლდა 15 კომლი. ძველის-ძველი ნასაყდრალის ალაგი, ქვები და ქვევრები სჩანს. აქ სცხოვრობენ მაჰმადიანთ ერისთავები. ამ გვარისა ერთი კაცი-ღაა აქ დარჩენილი, დანარჩენნი სულ ოსმალეთში წავიდნენ, ერთი ამათგანი, ხოსროვ ფაშა ერისთავი, ოსმალის დიდი მინისტერი, 1840 წლებში ინგლისში კონსულათ იყო, როგორც ევროპიულის ენების მცოდნე და საპოლიტიკო საქმეებში გაწვრთნილი. აქ დარჩენილი ამბობდა თურმე: ოსმალეთში მე არ წამოვალ, აღიობას დავთმობ და გავყიდი, რადგანაც ეს ჩვენ შეგვიძენია ოსმალთაგან, მაგრამ ერისთავობას არაფერზედ გავცვლიო. ამ სოფლისა და ქედას შუა მჟავე წყაროებიც მოდის. აქვთ ჯამე, ხოჯა ჰყავთ, ხოჯას სასწავლებელი აქვს და ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის, სწავლით-კი ვერავის რა შეუსწავლია.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთის ცხოვრება.

—

კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს შემუშავება პროექტთა შუა-აზიაში რკინის გზის გაყვანის შესახებ, ჯერ-ჯერობით გარდაუწყვეტია, რომ ახლავ შეუდგნენ რკინის გზის გაყვანას კოკანდამდე.

—

„ნოვოე ვრემიას" სიტყვით ქალთა სამკურნალო ინსტიტუტი უთუოდ გაიხსნება ამ წლის შემოდგომაზედ. რადგანაც სწავლის მსურველთა რიცხვი ბევრი იქნებაო, ამბობენ, პირველ ხანებში ქალებს უნივერსიტეტში და აკადემიაში ასწავლიან. აგრეთვე გარდაწყვეტილია თურმე, რომ ინსტიტუტებში სწავლის ნება ექნებათ არა მარტო მათ, ვისაც „სწავლის შესრულების ატესტატი" მიუღია, არამედ მათაც, ვისაც უმაღლესი ფერშალთა სკოლა დაუსრულებია.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სასჯულო მინისტრის ნ. ა. მანასეინის დროს სახელმწიფო საბჭოში ორჯერ წარადგინეს პროექტი იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ იქმნას წლოვანება მოსამართლეთა და, შესრულდება თუ არა რომელისამე მოსამართლეს განსაზღვრული წელი, სამსახურიდგან იქმნას დათხოვნილიო. ამ პროექტს არ ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ის მოსამართლენი, რომლის გულისთვისაც სასჯულო საქმეთა მინისტრი იშუამდგომლებდა უმაღლესის მთავრობის წინაშე და სთხოვდა, რომ კიდევ რამდენისამე ხნით დაეტოვებინათ სამსახურში. მაგრამ სახელმწიფო საბჭომ ორჯერვე უარჰყო ეს პროექტი.

ამ საქმის გამოვე ამ მოკლე ხანში ჰქონდა სჯა სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეთა კრებას, რომელიც სასჯულო სამინისტროში მოხდა. კრებაზედ გამოცდილმა და პატივცემულმა სენატორმა ა. ფ. კონმა დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადა მოსამართლეთა წლოვანების განსაზღვრის შესახებ. კონი, როგორც მცოდნე სასჯულო საქმისა, ამტკიცებდა რომ მოხუცებაში დაუძლურება დამოკიდებულია ადამიანის პიროვნულს თვისებებზედ და მოჰყავს მრავალი მაგალითი მოხუც მოღვაწეთა, რომლებიც მხნედ ჰმოქმედებდნენ, მტკიცედ იცავდნენ ძველის სამართლის ტრადიციებს და სხვა-და-სხვა ახალის დროის მიმართულებათ ეწინააღმდეგებოდნენ, როგორც მავნეთ.

„სასამართლო დაწესებულებაში სამსახურის დროსა, —ამბობს ა. ფ. კონი, —1866 წლიდგანვე, როდესაც სასამართლო დაწესებულებაში ცვლილება შემოიღეს, მე ვხედავდი სასამართლოსა და პალატის წევრებად მოხუცთ, ვხედავდი მათ მოსამართლე მომრიგებლებად, რომელთა რიცხვსაც მეც კარგა ხანს ვეკუთვნოდი, როგორც საპატიო მომრიგებელ-მოსამართლე. მე არ მახსოვს რომ ოდესმე ამ მოხუცთ თავისის ცუდის მოქმედებით საქმე წაეხდინოთ და ან უსარგებლონი ყოფილიყვნენ. აქ რასაკვირველია უდგილოა დასახელება იმათი, ვისაც ესლაც-კი დიდის პატივით ვიხსენიებ ხოლმე და რომელნიც უკვე ხანში შესულნი. მათი ჯიუტობა, რომელიც სასარგებლო კამათს გამოიწვევდა ხოლმე, მათი წლიწადებით დაბრძენებული აზრი ხშირად საგნის შუაგულში ჩაიჭვრიტებოდა და უბრალოდ არა ჰკარგავდნენ დროს. იქნება გვითხრან, რომ მოხუცებულების საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღების დროს საქმე გრძელდება, რომ ისინი ცუდი მომხსენებელნი არიან, და რომ ძნელადა სწერენ ხოლმე განაჩენსა, რადგანაც თვალთ აკლიათო.— ეს უეჭლა მართალია— მაგრამ კაცის ბედ-იღბალის გარდაწყვეტის დროს—საქმის გარჩევა რომ გაგრძელდეს რა დასამძახისია. რაც შეეხება მომხსენებელთ, ამისთვის ბევრი ახალგაზდა ამხანაგიც ჰყავთ და ისინი აასრულებენ ამ თანამდებობას. მოხუცებული მოსამართლე სწორედ ზნეობრივი ელემენტია. იგი ასე რიგად არა ღელდება „უოკელ დღიურ ჭირ-ვარმით", იგი უფრო გულ-გრილი მსაჯულია. იგი არ ემორჩილება მოულოდნელ შთაბეჭდილებათ და მისი შინაგანი თვალთა ხედვის ისარი მიმართულია მის მოკლე ცხოვრებას ,,მეორე ნაპირისაკენ, [illegible] იგი არ აფასებს დროებითსა და მალე წარმავალს, არამედ იმას, რაც საუკუნო და დაურღვეველია, ე. ი. იგი ხელმძღვანელობს იმ საფუძვლით, რომელზედაც აშენებულია მართლმსაჯულება.

იმ გარემოებას, რომ დანიშნულ ვადის შემდეგ მსაჯული იძულებული იქმნებოდა დაენებებინა თავი სამსახურისათვის, უეჭველად ფრიად მავნებელი შედეგი მოჰყვებოდა; იმ შემთხვევაში მსაჯულნი თავისის მოვალეობის ასრულების დროს ეცდებოდნენ მოეპოვათ თვისთა მეუფროსეთა ყურადღება, რათა დანიშნულ ხნის შემდეგაც დარჩენილიყვნენ სამსახურში. ყოველი ესე, მავნებელია და უკადრისი მართლ-მსაჯულებისათვის.

„სასამართლოში სამსახურაო, ასე ათავებს თავისს შესანიშნავს სიტყვას ბატონი კონი, მართლა რომ ნამდვილი სამსახურია. მოსამართლემ ხელი უნდა აიღოს ცხოვრების ათასგვარ მაცთურობისაგან და იშრომოს პატიოსნად და უზაკველად. თუ კაცს ეს მცნება შეთვისებული არა აქვს, მაშინ მოსამართლის ნაცვლად—ჩინოვნიკი შეგრჩებათ ხელში. [illegible] „განსაზღვრულმა წლოვანებამ"-კი შეიძლება გული აუცრუოს კაცსა და ნამდვილი მართლ-მსაჯულის ნაცვლად უბრალო მოხამკედე მუშაკად გადააქციოს, იმგვარ მუშაკად, რომელიც განსაზღვრულს დროს შრომობს მარტო იმიტომ, რომ მთავრობისაგან განსაზღვრულიპე ფასი აიღოს თხოვნებისა და განაჩენების გადაღებაში."

## ლომბროზოს აზრი სიყვარულის გამო თავის მოკვლის შესახებ.

ამ უკანასკნელს დროს ისე ბევრი დაიწერა თავის მოკვლის შესახებ, რომ ახალს ბევრს აღარას იტყვიან ფსიხოლოგები. მაგრამ არის ერთგვარი თავის მოკვლა, სახელდობრ, სიყვარულის გამო, რომელიც რომანისტებსა და დრამატურგებს უკეთა აქვთ შესწავლილი, ვიდრე სწავლულს ფსიხიატრებს. ეს უკანასკნელნი დავობენ ამ საგნის შესახებ. ნამდვილი-კი რომ ითქვას, ეს ასე არ არის და

---

ზეზად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ამ ერის მმართველმა ელემენტებმა დააგვიანეს საჭირო ეკონომიურის რეფორმების შემოღება და ამით თავისი მისწრაფება ვერ გახადეს საერთო, საყოველთაო ინტერესად... ამისთვის საჭიროა, რომ ჩვენს ინტელიგენციისა და ხალხს შუა დამკვიდრდეს დიდი ზნეობრივი კავშირი და ურთიერთობა. მაგრამ, როგორც ვიცით, ამგვარის კავშირის ჩამოგდებისათვის საჭიროა უფრო ფართო კალაპოტის არსებობა, ვინემ ახლა გვაქვს მოსაზღვრული...

ამგვარად ვხედავთ, რომ ჩვენის ქვეყნის ყველა პროგრესიულ დასების ნაყოფიერსა და თვალ-საჩინო მოღვაწეობას აფერხებს ერთი და იგივე გარემოება და ამის მიხედვით ჩნდება საერთო ასპარეზი საერთო პოლიტიკურის მოღვაწეობისათვის.

როდესაც ცხოვრება ფეხს შესდგამს ,,პირველს საფეხურზედ", მხოლოდ მაშინ დაიწყება ნაყოფიერი მოღვაწეობა ერის ამა თუ იმ ელემენტისა, მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი პარტიებს. ,,ხალხს და ლიტერატურას ჰყოფს მრავალ პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება". ცხადია, როგორ გვესმის ჩვენ აქ სიტყვა ,,პარტია" და გვიკვირს ბ. ნ. ჟორდანიას გაუგებრობა! ,,რუსეთის ამ საუკუნის ისტორია, პარტიების ისტორია არისო", ბრძანებს ბ. ჟორდანია. ფრიად საინტერესო იქნება, თუ ბ. ჟორდანია ინებებს და ამ შეხედულებით აგვიხსნის რუსულს ისტორიას...

რუსეთი ამ 35 წლის წინად ნამდვილი აღმოსავლეთის სახელმწიფო იყო. ერთს მხარეზედ იდგა მბრძანებელი თავისს ბიუროკრატიით და მეორე მხარეზედ—ყოველგვარს უფლებას მოკლებული ხალხი. თავად-აზნაურობა იგივე ბიუროკრატია იყო, ყოველგვარს პოლიტიკურს უფლებას მოკლებული. არავითარი საზოგადოებრივი ელემენტი არ სუფევდა. არავითარი ბრძოლა მათ შორის არ იყო და არც პარტიების არსებობა შეიძლებოდა. მხოლოდ გლეხების განთავისუფლების შემდეგ ცხოვრების ნიადაგი შეიცვალა და იბადება მებრძოლი ელემენტები; ამ ნიადაგზედ უთუოდ აღორძინდება პარტიებიც. ლიტერატურული მიმართულება, ან ფილოსოფიური სკოლა (როგორც მაგალითად საფრანგეთის ენციკლოპედისტები)—მიმართულება და სკოლაა—და არა პოლიტიკური პარტია. ეჭვი არ არის, რომ ესა თუ ის მიმართულება ან ლიტერატურული სკოლა ამ თუ იმ პოლიტიკურის ან ეკონომიურის თეორეტიულ პრინციპების გამომხატველია, მაგრამ განა ჩვენ ამა თუ იმ შეხედულებაზედ გვაქვს ლაპარაკი და არა პრაქტიკულს მოღვაწეობაზედ?!

შემდეგ ჩვენ ვამბობთ, რომ ესა და ეს გარემოება გონების, მოძღვრების, მოღვაწეობის, სიცოცხლის ინკვიზიციათ შეიქმნა, ამ გარემოებასთან ბრძოლა გვმართებს დღეს ყველას, რომ თავიდგან ავიცილოთ ეს ინკვიზიცია; ბ. ჟორდანია-კი ბრძანებს, რომ „ამ შემთხვევაში „ივერია" გონების ინკვიზიციის მოძღვრათ გამოდისო"... რუსეთის გარდა, ბ. ჟორდანია გვითითებს ირლანდიის, ჩეხის, უნგრეთის, პოლონეთისა და სომხების პარტიებზედ. პირველს სამს ქვეყანაში არსებობდნენ და არსებობენ პარტიები, რადგანაც იქ უფრო ფართო პოლიტიკური კალაპოტი იყო და არის, თუმცა ეს ქვეყნები დამოკიდებულნიც არიან; რაც შეეხება პოლონეთის და მით უმეტეს სომხეთის პრტიებს—ჩვენ იგივე უნდა ვსთქვათ, რაც ვთქვით რუსეთის ახლანდელ ცხოვრების შესახებ.

ბ. ჟორდანიას უკვირს ჩვენი ერეტიკული აზრი შესახებ სოციალ-დემოკრატიულ დასის კავშირისა ჩვენს ცხოვრებასთან და ფარდას ჰხდის სოციალ-დემოკრატების მოძღვრებას „ივერიის" სავულისხმიეროდ. ბ. ჟორდანია ერთობ აჩქარდა: ვგონებ, ჩვენი წერილები, სადაც განვმარტეთ, თუ რა კავშირი არსებობს და რა არა სოციალისტების მოძღვრებისა და ჩვენის აწმყოს შუა, დაარწმუნებდნენ მას, საჭირო იყო თუ არა ჩვენთვის „ფარდის ახდა." *)

იმავე ჩვენს წერილებში ამოიკითხავდა ბ-ნი „ქართველი მკითხველიც" თავისს საკითხების პასუხს და გამეორება არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ ამ საგნების შესახებ, საზოგადოდ, ბევრჯელ გვექნება ბაასი...

„ეროვნული პრინციპი" მესამოცე წლების მოღვაწეებსაც და ჩვენც უფრო სავსებით და რთულად გვესმის, ვიდრე ბ. ბ. ჟორდანიას და „ქართველს მკითხველს" ჰგონიათ. მათის აზრით, „ეროვნული პრინციპი" ჩვენ გვინდა „ეროვნულ პრინციპისათვის," როგორც მაგალითად ზოგიერთებს ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდათ და არა ცხოვრებისათვის. ჩვენს „ეროვნულს პრინციპს" საფუძვლად უდევს მთელის ერის ყოველმხრივი განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავისს მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაში. ამისთვის საჭიროა, რომ ერის ცხოვრებას ხელს არ უშლიდეს არავითარი გარეშე გარემოება.

ლალი.

---

*) ამას აქ სრულიად არ მოვიხსენებდით, რომ არ გვდომებოდა ერთის კომიკური qui proz quo-ს აღნიშვნა: ბ. მაზაკვალი ჩვეულებრივის აპლომბით ამბობს, რომ ტყუილად ეპოტინება ლალი მარქსსაო; მას ამაებისა არა გაეგება-რა, რაც ნ. ჟორდანიამ და „ქართველმა მკითხველმა" უკვე დაამტკიცესო. ამისი რა მოგახსენოთ, ბ-ნო მაზაკვალო, და იმისი შემთხვევა-კი გვექნება, რომ თქვენ მიერ ამ საგნების უცოდინარობა ნათლად დაგიმტკიცოთ.

ჩეზარე ლომბროზომ საჭიროდ სცნო ამ საგნისათვის ცალკე ეტიუდი ეძლვნა.

ამ საგნის შესახებ ლომბროზოს რამდენიმე საყურადღებო მაგალითი მოჰყავს. ამ უკანასკნელს წლებში იტალიაში 569 ქალს და 2,516 კაცს მოუკლავს თავი; აქედგან სიყვარულის გამო თავი მოუკლავს ასში 71-დგან 75 ქალს და 20-დგან 23 კაცს. თავის მკვლელთა რიცხვი საფრანგეთში 25,441 ადის; აქედგან 19,982 ქალს მოუკლავს თავი და 5,869 კაცს, მაგრამ სიყვარულის მიზეზით 172 ქალს მოუკლავს თავი, ე. ი. ასში 28 და 134 კაცს, ე. ი. ასში 7.

ლომბროზოს აზრით სიყვარულს მესამე ადგილი უჭირავს თავის მოკვლის მიზეზთა შორის. მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება, რომ მეორე ადგილი ეჭიროს, რადგანაც ხშირად თავის მოკვლა, ოჯახობაში სხვა-და-სხვა მომხდარ უსიამოვნების გამო, გამოწვეულია ხოლმე სიყვარულით.

ველურს ხალხში თავის მოკვლა უფრო ქალებშია ხშირი და ამისი მიზეზი მუდამ სიყვარულია, ან სიძულვილი რომელისამე მახინჯისა და მოხუცებულის კაცისა,. ეს ადვილი მისახვედრიც არის: ჯერ ისევ ქ-ნმა სტალმა შენიშნა, რომ კაცების ცხოვრებაში სიყვარულს რაღაცა ეპიზოდისა და ანექდოტის ადგილი უჭირავს, მაშინ როდესაც ქალების ცხოვრებაში მას პირველი ადგილი უჭირავს და მთელს მათს ბედ-იღბალს შეადგენსო.

კაცს ძვირფასად მიაჩნია მეგობრობა; ქალი-კი ამ გრძნობას გარეგანს ხასიათს აძლევს. ყოფილან ისეთი კაცები, რომლებიც თავს იკლავდნენ, თუ რომ მათს მეგობარს რაიმე უბედურება ეწეოდა, როგორც მაგ. პეტრონი, რომ თვისის მეგობრის შემდეგ აღარ ეცოცხლა, ან არ გაეცა იგი, ან მაგ. მეგობრისათვის ესიამოვნებინა, როგორც ეს ანტინოამ ქნა. თავის მკვლელნი მამაკაცნი სიკვდილის დროს დატოვებულს წერილებში მუდამ მეგობრებს იგონებენ, მაშინ როდესაც თავის მკვლელ ქალთა შორის არავითარი ასეთი მაგალითი არ არის ხოლმე. შესანიშნავია აგრეთვე ის, რომ კაცი ძნელად აიტანს ხოლმე ცოლის სიკვდილს, გაქცევას, მაშინ როდესაც იშვიათი მოვლენაა ამგვარს შემთხვევაში ქალმა სიკვდილს მიჰმართოს. ამას საკმაოდ კარგად ამტკიცებს იტალიის გამოჩენილ პოეტის დანტეს სიტყვები; დანტე ასე ახასიათებს ქალის სიყვარულს:

poco dura·
Si il tatto el' occhio spesso pol riaccendo.]

(ძალიან მოკლე დღისაა იგი, თუ ქალს მუდამ არ აცხოველებს ნაზი კოცნა და მხურვალე და ვნებით აღსავსე ცქერა მოტრფიალესი).

საზოგადოდ ქალის სიყვარული ერთბაშად აფეთქდება ხოლმე, უფრო შემთხვევითია და ხანგრძლივი არ არის. ხშირად ქალი თავს იკლავს, როდესაც საყვარელი კაცი შეურაცხყოფას მიაყენებს; სხვანი ასეთის შეურაცხ-ყოფის შემდეგ სხვებს მიჰყვებიან; ამ ქალების წინააღმდეგ იქცევიან ისინი, რომლებიც შერცხვენას სიკვდილს ამჯობინებენ ხოლმე და არ კისრულობენ შერცხვენილნი წარსდგნენ საყვარელ კაცის წინაშე. ისტორიას მრავალი მაგალითი ახსოვს ისეთ დედაკაცებისა, რომელნიც თავს იკლავდნენ, რომ ნამუსი დაეფარათ: ლუკრეცია, სირია, სოფრონია, გერმანელი ქალები მარის ლაშქრობის დროისა, ქალები, რომლებსაც ციცერონი და სამღრთო წერილი იხსენებენ და სხ.

სიყვარულის გამო თავის მკვლელთა უმეტესი ნაწილი მხოლოდ შეყვარებულთა გაქცევისა ან სიკვდილის გამო ხდება. ასე გამოჩენილმა სოფიომ, მირაბოს საყვარელმა, როდესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, დასწერა თავისის ხელით უკანასკნელი განკარგულება, მერე მაყალი გააჩაღა და კვამლში ამოიგრჩო; ამ დროს სოფიოს თვის საყვარელ კაცის სურათი ხელში ეჭირა უკანასკნელ სულის ფეთქამდის, რაც უტყუარი საბუთია თავგანწირულის სიყვარულისა.

ამ გვარი თავის მოკვლა საყვარელ არსების სიკვდილის შემდეგ მოხდება ხოლმე, ზედმიწევნით ასე რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც პირველ სასოწარკვეთილების გამაბრუებელს სიცხეს მოჰყვება ხოლმე ძლიერი მწუხარება.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი**. გაზ. „Times“-ი ამბობს: ყველაზედ უფრო შემაძრწუნებელი სისხლის-ღვრა მოხდა 13, 17 და 31 აგვისტოს, ხონთქრის დაბადების დღეს. იმ ვიწრო ხეობაში, რომელიც ანდოხის მთისაკენ მიიმართება, ამოჟლეტილ იქმნა 5,000 კაცი; სულ დახოცილთა რიცხვი ათი-ათასს აღემატება შეიძლება ვსთქვათ, რომ თექვსმეტ-ათასამდისაც ადის. დახოცილთა გვამებს ერთად აგროვებდნენ, უწყობდნენ შეშას, ასხავდნენ ნავთს და მერე ცეცხლს უკიდებდნენ. სულთ-შემხუთავი სუნი იდგა ჰაერში და თვით ქ. მუშის მთებზედაცკი. აუარებელი ყვავ-ყორანი აჰვევია ამ ქალაქს სხვა დროს. ამ დღეს-კი მათ მიეტოვებინათ ქალაქი და დახოცილთა გვამთ მიჰსეოდნენ. ჯარის-კაცებმა და ქურთებმა ათასზედ მეტი ქალი და ყმაწვილი წაიყვანეს. ცელონის შეიხს, რომელსაც კანონით მერვე ნაწილი ერგება, წილად ჰხვდა 860 ცხვარი, 40 ჯორ-ცხენა, 13 ხარი და 5 ცხენი. შეიხის სიტყვით, 15,000 კაციდგან, რომელიც მას ებარა, მოკლულ იქმნა 1,700 კაცი, ჯარის-კაცებიდგან—150, ერზერუმიდგან მისულმა სამმა ბატალიონმა შემოიტანა მუშაში ხოლერა, რომელმაც უკვე იმსხვერპლა 1,200 კაცი.

—

**საფრანგეთი**. საფრანგეთის გაზეთები ბევრსა სწერენ ბისმარკის იუბილეს შესახებ და აფასებენ ბისმარკის მოღვაწეობის მნიშვნელობას. გაზეთი „Times“ ამბობს, რომ ბისმარკს დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანელ ერების შეკავშირებაში და გერმანიის იმპერიის შექმნაში, მაგრამ უმატებს, რომ გერმანელთ კანცლერად მყოფი ევროპის ცივილიზაციის და პროგრესის მტერი იყო. მეცხრამეტე საუკუნემ ანდერძათ მიიღო მეთვრამეტედგან იდეალი საერთაშორისო ერთობისა და ძმობისა. ამ იდეალით სცოცხლობდა მთელი ევროპის განათლებული ნაწილი და ყველას ეგონა ახლა ის დროა, როდესაც ევროპაში მოისპობა მუდმივი შურიანობა და დამყარდება საერთო პროგრესისათვის საჭირო ერთობაო. მაგრამ ამ დროს ამაღლდა კაცი, რომლის იდეალი სრულიად ეწინააღმდეგებოდა სასურველს ერთობის დამყარებას. ბისმარკს ჰსურდა გაეძლიერებინა და გაეფართოებია გერმანია და აღასრულა კიდეც თავისი წადილი „რკინითა და სისხლით.“ მისმა პოლიტიკამ მტრობა და შურიანობა ჩამოაგდო ევროპაში, რომლის სახელმწიფოები თავიდგან ფეხამდე შეიარაღებულნი— ერთმანეთის ამოწყვეტას ემზადებიან. გაზეთ „Figaro“-ს მოჰყავს ჟულ სიმონის აზრი ბისმარკის შესახებ; ჟულ სიმონი გლადსტონს და ბისმარკს ერთმანეთს adარებს. პირველს აძლევს უპირატესობას, რადგანაც ის პროგრესს ემსახურებოდაო, ხოლო მეორე მხოლოდ თავისს სამშობლოს დიდებაზედ ფიქრობდა და ზრუნავდაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ჟურნალ „ტელეგრამის“ სიტყვით, ტელეფონი საკვირველის სისწრაფით ვრცელდება იქ, სადაც მისით სარგებლობს სახელმწიფო ხაზინა და არა კერძო პირნი, ანუ ამხანაგობა. ტელეფონი უფრო გერმანიაში გამრავლდა. იქ 1,405 ქსელი ითვლება 21,686 კილომეტრის სიგრძეზედ, 412 ცენტრალური სადგურია, 79,791 აბონენტია, წლის განმავლობაში 242 მილიონჯერ ულაპარაკნიათ. საფრანგეთში: 416 ქსელია 23,478 კილომეტრის სიგრძეზედ, 22 ცენტრალური სადგურია, 22,918 აბონენტია. წლის განმავლობაში გამოლაპარაკება ყოფილა 20 მილიონჯერ.

## შემოწირულება.

—

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

1) კნეინა ელეონორა მიხეილის ასულმა გურიელისამ ხელთ-ნაწერები: ა) ანბანთ ქება და სხვა ნაწერები, მეფე თეიმურაზისა, ბელეილიანი და სხვა ნაწერები მისივე, ბ) რომეო და ჯულიეტა, დრამა შექსპირისა, თარგ. დ. ყიფიანისა და დეუდაბნო ალპანის მთისა ანუ განსაცდელნი შემთხვეულებანი სტუარტის შთამომავლობათა, თარგმანი.

2) ვასილ ალექსის ძემ აბაშიძემ—Попурри изъ грузинскихъ пѣсенъ, соч. кн. Д. Эристова. С.-Петербургъ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მარტი.

**პეტერბურგი**, 28 მარტი. ციმბირის რკინის გზის კომისიის სხდომაზედ ხელმწიფემ ბრძანა, რომ გარდადებულ იქმნას 30 საფოსტო ვაგონის შესაძენად ციმბირის რკინის გზისათვის 346,220 მანათი. წელს ციმბირის რკინის გზის მუშაობა არ წარმოებდა ისე ჩქარა, როგორც წინა წლებში; ამის მიზეზი იყო დიდი ავდრები და მუშათა ნაკლებობა. რკინის გზის გაყვანის დასაჩქარებლად იმპერატორმა ბრძანა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა შეიმუშაოს წესი, რომლითაც უნდა ამუშაონ კატორგით დასჯილნი. იმ ხმებს, ვითომც მთავრობას განეზრახოს დასწიოს ფასი მანათიანი ქაღალდის ფულისა, არავითარი საფუძველი არა აქვს. ის გარემოება, რომ მთავრობა ქაღალდის ფულს სცვლის ვერცხლზედ და არა ოქროზედ, სასარგებლოა მხოლოდ ქაღალდის ფულის გამყიდველთათვის, რადგანაც დღეს ვერცხლის მანათი ქაღალდის მანათზედ აბაზით ნაკლებ ფასობს.

**პეტერბურგი**, 29 მარტი. გარდაუწყვეტიათ, რომ მოსწავლეთ დაეთმობათ რკინის გზებზედ მესამე კლასის ბილეთის ფასში 200 ვერსტამდე ათი შაური და 900 ვერსტამდე ერთი მანათი.

**კოპენჰაგენი**, 28 მარტი. დღეს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული პეტერბურგს წაბრძანდა. რკინის გზის სადგურამდე გააცილეს მეფემ, პრინცებმა და პრინცესებმა.

**ლონდონი**, 28 მარტი. იოკაჰამიდგან დეპეშით იუწყებიან: მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ ერთის კვირის შემდეგ დასრულდება. შვიდი მუხლი მშვიდობიანობის ჩამოგდების პროექტისა უკვე განხილულია, დარჩა კიდევ ერთი.

იაპონიაში ხოლერა ვრცელდება. ხოლერა მძვინვარებს აგრეთვე იაპონიის ჯარში, რომელიც იმყოფება პეკადორის კუნძულზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 28 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 214½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | — „ | — „ | 101¾ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | 101 |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | 99½ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 101 „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. ოცხანელს.** გ. გ. ჯაბადარისა და ინასარიძის მიერ შედგენილი წესდება დაიბეჭდა ჩვენს გაზეთის მე-52 ნომერში საყოველთაო ყურადღებოდ. რაც შეეხება თქვენს სამდურავს, თუ რისთვის არ გამოუგზავნიათ ამათ იზურგეთში ვისმესთვის წესდების პროექტი, ამის ასახსნელად შეგიძლიანთ მიჰმართოთ თვით შემდგენელთ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(პუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მაქვს **თანხა** და **სპეციალური ცოდნა სამეურნეო მრეწველობისა** და **ბალოსნობისა**. ვეძებ მამულის მქონე კომპანიონს, მსურს ამხანაგობა შევადგინო. მსურველთ შეუძლიანთ „ივერიის“ რედაქციის ადრესზედ გამოჰგზავნონ წერილები.

(6—1015—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |


Дозвено цензурою, Тифлисъ 29-го Марта 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე